წერილის ნომერი: **18-01193403027**
თარიღი: **06/12/2019**
პინი: **6397**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 28 ნოემბრის #60-01193322567 წერილი (AR1699630), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, შუშის ქ. #38 (ს.კ.: 01.11.04.017.129) (სამრეწველო ზონა 1) სოფია ხაბეიშვილის საკუთრებაში არსებულ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, III კლასის საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული, ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად დასარგავი 1 ძირი ზეთისხილი, 2 ძირი კატალპა, 4 ძირი ოლეანდრა და 3 ძირი ლეილანდის კვიპაროზელა ვერ ითვისებს კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (მინიმალური ფართობი 141,37 კვ.მ).

ამასთანავე, ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად შემოთავაზებული 3 ძირი ლეილანდის კვიპაროზელა უნდა ჩანაცვლდეს დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი ხეებით (ელდარის და შავი ფიჭვის გარდა).

შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

განმცხადებელმა გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განსაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის. დასარგავი მწვანე ნარგავის სახეობა უნდა აირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან (ალვის ხის, კვიპაროსის, ელდარის ფიჭვის და შავი ფიჭვის გარდა).

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა.

დასარგავი ხის სიმაღლე უნდა იყოს ფოთლოვანი ნერგის დარგვის შემთხვევაში არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი, ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

აქვე დავძენთ, რომ ვინაიდან ახალდარგულ მწვანე ნარგავების მოვლაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია გიორგი მღებრიშვილი, განმცხადებელმა საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს გიორგი მღებრიშვილის წერილობითი თანხმობა ან მასთან გაფორმებული ხელშეკრულება მწვანე ნარგავების მოვლასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, წარმოდგენილ გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფაზე, გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღად უნდა მიეთითოს მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი